ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი №6

სხდომის ჩატარების დრო:

25 მარტი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეექვსე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე, ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვეტაძე, მ.კოსტავა, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, შ.ჯიშკარიანი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, გ.იობაშვილი,

სულ: 25 წევრიდან - 21 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ა.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილეები: ბატონები: გ.ცხაკაია, დ.ნიშნიანიძე და მ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ო.ფანცხავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, მ.ხიდაშელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი, ბატონი გ. კუჭუხიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გ.გოგალაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები, მოქალაქე, ბ.ადამია.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ და საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე გააკეთა **განცხადება:** „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. მივესალმები ჩვენ თანამოქალაქეებს. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მე-6 სხდომას გახსნილად ვაცხადებ. პირველ რიგში, სამძიმარი მინდა გამოვთქვა ჩვენი სულიერი მამის, ილია მეორის გარდაცვალების გამო. ის იყო ეპოქალური ადამიანი. დღეს, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის დღეა, რომელშიც მთავარი წვლილი მიუძღვის ჩვენს პატრიარქს, ილია მეორეს. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხსოვნას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, მცხეთა - თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ - აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხსოვნას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია მეორის ხსოვნასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოგესალმებით კოლეგებო. მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, მედიის წარმომადგენლებს. არ შეიძლება არ ვთქვათ ის, რაც ამ დღეებში ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო ერის გაერთიანება, გამთლიანება, რაც ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, გარდაცვალების შემდეგ შეძლო. როგორი ჩუმი, ერთმანეთზე მზრუნველი, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი იყო ერი და საათობით რიგში მდგომი პატივს მიაგებდა პატრიარქს. არ შემიძლია, წუხილი არ გამოვთქვა იმ ათეულობით ადამიანის გამო, ვინც, ვითომ, უწყვეტი პროტესტი გააგრძელა თბილისში რუსთაველის გამზირზე და ქუთაისში, ჩვენი პატრიარქის ბანერის წინ. მე მაინტერესებს, ამ ადამიანებს გარე პარტნიორებმა, როგორ წაართვეს ასე ტრადიცია და სარწმუნოება, როგორ წაართვეს ყველაზე მთავარი, ადამიანობა. ნამდვილად დასანანია, ამ ერთობისა და წუხილის დროს, როდესაც მთელი მსოფლიო, მთელი საქრისტიანო გვისამძიმრებდა, ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ და რას აპროტესტებდნენ, თვითონაც არ იცოდნენ. ვწუხვარ, რომ ასეთი ადამიანები, რაც უნდა მცირერიცხოვანნი იყვნენ, არსებობენ. ძალიან დიდი პატივისცემა ჩემგან ყველა მოქალაქეს, მთელ ქართველ ერს, უამრავ ადამიანს, ვინც მოახერხა და პატივი მიაგო ჩვენ პატრიარქს. ბოდიში მინდა მოვუხადო უწმინდესსა და უნეტარესს, რომ ისე ვერ ვიცხოვრეთ დღემდე, როგორც ის ქადაგებდა. პირობას ვაძლევ, რომ სიყვარულით, სიკეთით, როგორც მას უნდოდა, ერთმანეთის თანადგომით, გავაგრძელებთ ცხოვრებას, ისე, როგორც მან გვიანდერძა. მას სურდა ეხილა ერთიანი ერი და იხილა ნამდვილად. პატრიარქი ზეციური სამყაროდან გააგრძელებს ჩვენზე ლოცვას და დაგვეხმარება იმ ოცნების ახდენაში, რაც მას ჰქონდა და რაც ჩვენ ყველას გვაქვს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ მარეხს ჩვენი პატრიარქის ასეთი სიტყვებით შემკობისათვის. მინდა, მადლობა მოვუხადო ჩვენ პატრიარქს, ჩვენ სამღვდელოებას. მისმა უწმინდესობამ შეძლო ფერფლიდან აღედგინა საქართველოში მართლმადიდებლობა.

მისი პატრიარქობის პერიოდში აღდგა ავტოკეფალია და აღიარებულ იქნა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ. დიდი ღვაწლი აქვს მის უწმინდესობას, მაგრამ ყველაზე მეტად დასაფასებელია ის, რომ ერი და ბერი ერთმანეთის გვერდით დგას. ჩვენმა პატრიარქმა, ილია მეორემ ეს შეძლო, გააერთიანა ერი. ქვეყანაში არის ისეთი გუნდი, მთავრობა, რომელიც მაქსიმალურად ახლოს დგას საპატრიარქოსთან და მაქსიმალურად ითვალისწინებს საპატრიარქოს რჩევებს. ზუსტად, ჩვენი გუნდის საპატიო თავმჯდომარის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ, მისი დაარსებული ფონდის მიერ ძალიან ბევრი ეკლესია - მონასტერი აშენდა საქართველოში და ჩვენ, ჩვენ ოჯახებთან ერთად დავდივართ ამ ეკლესია - მონასტრებში. მათ იზრუნეს მომავალ თაობაზე, ზუსტად ის, რაც არის ჩვენი იდენტობა. ჩვენ ძალიან ღირსეული წინაპრები გვყავდნენ და არ გვაქვს უფლება, გადავუხვიოთ მათ გზას. პრიორიტეტი არის ჩვენთვის- ყველაფერი ქართული. დიდი მადლობა."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ"**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ 2026 წლის 25 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დასკვნების საფუძველზე, საკრებულოს ბიუროს მე-12 სხდომის მიერ შემუშავებული საკრებულოს რიგითი მე-6 სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-9 და მე-10 საკითხები, რომლებიც შეეხებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას. ხსენებული საკითხების განხილვა გადაიდო მათი სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. გამომდინარე აქედან, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკითხები გადაინომრა თავიდან. მერის წერილობითი მომართვის საფუძველზე დღის წესრიგის პროექტის მე-2 საკითხის წარმომდგენი პირი - მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, დავით ჭეიშვილი შეიცვალა ამ სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლით - მირზა ხიდაშელით."), წარმოადგინა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **მეექვსე** სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე

2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა ხიდაშელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ოთარ ფანცხავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გოგალაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელი

10. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის" გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გენადი კუჭუხიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული

გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი
კომისიის მდივანი

11. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გენადი კუჭუხიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული
გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი
კომისიის მდივანი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს მეექვსე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 25 მარტის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**დადგენილების პროექტის № 1 დანართის 1-ლი-მე-12 და მე-14 მუხლების თანმხლები ცხრილების მე-4 გრაფაში ჩანაწერი: „2025 წლის გეგმა“ შეიცვალა ჩანაწერით: „2025 წლის ფაქტი“, დადგენილების პროექტის № 1 დანართის მე-5 მუხლის თანმხლებ ცხრილში („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები“) გასწორებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, აღნიშნული ცხრილიდან ამოღებულ იქნა მე-6 გრაფა მთლიანად („1331111 - გათანაბრებითი ტრანსფერი-#REF!- #REF!- #REF!- #REF!- #REF!“); დადგენილების პროექტის № 2 დანართის „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა“ და „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ცხრილებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „გენდერული თანასწორობა“.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ბატონო დავით, წლის ბოლოს რამდენი იქნება ჩვენი ბიუჯეტი. ძალიან კარგი ზრდაა და გადავაჭარბებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „200 მილიონს გადავაჭარბებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ეს, ისტორიული მოვლენა იქნება. წარმატებებს გისურვებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№10 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №10** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეორე** საკითხის - **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან აქვე განმარტა: „აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები მოიცავს ორ მიმართულებას, პირველი გახლავთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთების პროგრამა, სადაც ჩვენ გვქონდა ფინანსური კონტრიბუციების საჭიროება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხრიდან და ამ ეტაპზე ნაცვლად კონტრიბუციისა, ამხანაგობები წარმოადგენენ საპროექტო დოკუმენტაციას. მიზანი ამ ყველაფრისა არის ის, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებმა თავად განსაზღვრონ ის საჭიროებები რომელიც მათ აქვთ, თუმცა, ამ ყველაფრის ხარისხის დაზღვევას მაინც ჩვენ ვიღებთ ჩვენ თავზე. მეორე მიმართულება ეხება ლიფტების რეაბილიტაციის საკითხს, როგორც ვიცით, გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ მათი სრული რეაბილიტაციის კუთხით სამუშაოები და მიმდინარე შეკეთებებს აღარ ვაკეთებთ, ამიტომ, სადაც უკვე გვაქვს გაკეთებული, იქედან მომართვიანობის დარეგულირების მიზნით, შევზღუდეთ. კერძოდ, 2025 წლამდე რომელი ლიფტებიც გვაქვს რეაბილიტირებული, მათ შეკეთებას აღარ მოვახდენთ 2028 წლამდე, რადგან ორმაგი ხარჯვა აღარ მოხდეს."

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეორე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **მირზა ხიდაშელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №11** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მესამე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში,** ცვლილებით (ანგარიშში წარმოდგენილი რიგი პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მდგომარეობის აღწერისას შესრულებული სამუშაოების ანალიზი მოცემული იყო როგორც მომავალში დაგეგმილი ღონისძიება. აღნიშნული სამუშაოების შესახებ დოკუმენტში არსებული ჩანაწერები ჩასწორდა ფაქტობრივი მდგომრეობის მიხედვით - როგორც შესრულებული ღონისძიებები.), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ოთარ ფანცხავამ.**

(ანგარიში
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.**

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, განკარგულების დანართში (ანგარიშში) შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№55 განკარგულების** პროექტის დანართში.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება №55** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 25 მარტის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ჩაემატა „ე“ ქვეპუნქტი.)**, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№56 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრი - რებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ“ **განკარგულება №56** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 25 მარტის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ჩაემატა „ე“ ქვეპუნქტი.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ბატონო ვალერ, აქ საუბარია პესიმისტურ მხარეზე და ამაში რა იგულისხმება?"

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „სტრატეგიაში საუბარია 2050 წლამდე პერიოდზე. პესიმისტურ მხარეში იგულისხმება ისეთი მხარეები, რომელიც მუნიციპალიტეტზე არ არის დამოკიდებული და შეიძლება სტიქიური მოვლენებით იყოს განპირობებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№57 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ“ **განკარგულება №57** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ამ ნუსხას რა ობიექტები ემატება? მოქალაქეებს აინტერესებთ. გთხოვთ გაგვიმარტოთ, მათთვის რომ იყოს გასაგები.“

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „საპრივატიზებო ნუსხას დაემატა არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ფართობით 1070 კვადრატული მეტრი, მიწისქვეშა ნაგებობა, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე, №19 -ა -ს აღმოსავლეთით, აღნიშნული ტერიტორია არის სატრაქტორო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამის შემდეგ ჩაისმება გემაში და

აუქციონის წესით გასხვისდება. მეორე მიწის ნაკვეთია, ბუკიას ქუჩის №23-ის სამხრეთით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭილვარიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **განკარგულება №58** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება №59** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მერვე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 25 მარტის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის შემდეგ ჩაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის რეკვიზიტები (საკრებულოში დოკუმენტის შემოსვლის თარიღი და ნომერი); განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გაიმართა რედაქციულად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №206074193) ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №100-ის მიმდებარედ/ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №100-ში (ფართობი: 23 467.30 კვმ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.27.442) მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 2027 წლის იანვრის თვის ჩათვლით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.“; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში ჩაიწერა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 ივნისის №1008 განკარგულების სათაური და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 ივნისის №1008 განკარგულებით განსაზღვრული სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის/რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.“)**, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოქალაქეებისათვის სრული ინფორმაციის

მიწოდების მიზნით, აღვნიშნავ, რომ ეს არის სტადიონი საღორიის ტყის დასაწყისში, რომელიც პრემიერის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით იქმნება. მადლობა მას. სწორედ ის და მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებენ ბუნებრივსაფარიანი, 300 მაყურებელზე გათვლილი სტადიონისა და ტრიბუნის მოწყობას, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით. მინდა გითხრათ, რომ ერთი კარგი სპორტული სივრცე შეემატება ქალაქს."

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „მუნიციპალური განვითარების ფონდთან მე პირადად მქონდა კომუნიკაცია. ესკიზებიც ნანახი მაქვს, ძალიან მნიშვნელოვანი სპორტული ინფრასტრუქტურა იქმნება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მადლობა ცენტრალურ ხელისუფლებას. ისინი ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებენ ჩვენ ქალაქში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მერვე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№60 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №60** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეცხრე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 25 მარტის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №260 დადგენილების მიღების თარიღი ჩაიწერა სრულად, შემდეგი რედაქციით: „2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ჩაემატა საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის ობიექტი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი; საკადასტრო კოდის №03.04.25.523) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.“**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გიორგი გოგალაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეცხრე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის, **გიორგი გოგალაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის **№61 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №61** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეათე** საკითხის - **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანმა, ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეათე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივნის, **გენადი კუჭუხიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის" გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ" **განკარგულება №62** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეთერთმეტე** საკითხის - **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის" სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის" სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანმა, ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ჩვენ ძალიან კარგი ამბის მომსწრე და თანამონაწილენი ვართ. პირველ საჯარო სკოლას უბრუნდება გიმნაზიის სტატუსი. ყველა დიდი მოღვაწის უმეტესი ნაწილი სწორედ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ წინადადებით შემოვიდა. მე ვარ ბედნიერი, რომ დღეს ამ საკითხს უნდა დავუჭიროთ მხარი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** „დავეთანხმები ქალბატონ მარეხს. დღეს ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ ისტორიულ მოვლენაში. პირველ საჯარო სკოლას დაუბრუნდა კლასიკური გიმნაზიის სახელი. ის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უნიკალური სკოლაა. მინდა მივულოცო ამ სკოლას, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, კურსდამთავრებულებს და მინდა ვუსურვო კიდევ მრავალი გამოჩენილი და ღირსეული ადამიანი აღეზარდოს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **სალომე სარალიძე:** „მოგესალმებით მეგობრებო. მიხარია, რომ ჩვენ, დღეს, ძალიან მნიშვნელოვან ამბავს ვუყრით საფუძველს. მადლობას ვუხდი თითოეულ თქვენგანს, საქართველოს განათლების მინისტრს, ბატონ გივი მიქანაძეს, მის მოადგილეს, ქალბატონ თამარ მახარაშვილს, რომელთა უშუალო ინიციატივა იყო სკოლას თავისი ისტორიული სახელი დაბრუნებოდა. ქალაქის მერს, ბატონ დავით ერემეიშვილს, საკრებულოს, ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით, პატივგების კომისიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა სკოლისათვის მისი

ისტორიული სახელის დაბრუნების საქმეში. სულ რაღაც ოთხ წელიწადში აღვნიშნავთ სკოლის 200 წლის იუბილეს. სკოლას არაერთი სახელოვანი მამულიშვილი ყავს აღზრდილი. ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი - მთაწმინდის პანთეონი, სწორედ მათი სავანეა. ეს სკოლა უნიკალურია იმითაც, რომ 195 წელია ამ სკოლის კედლებში უწყვეტლივ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ასეთს სხვაგან ვერ ნახავთ. არ არის მარტივი, იყო პირველი საჯარო სკოლის ხელმძღვანელი. დღევანდელი დღე ისტორიულია, რომელიც ჩვენ სკოლას თავის ისტორიულ სახელს დაუბრუნებს. დღეს, როდესაც პატრიოტიზმს, წინაპრების ხსოვნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეს სტატუსი ჩვენი მოსწავლეებისათვის დიდი პასუხისმგებლობა იქნება. მადლობას მოგახსენებთ მრავალი თაობის პირველსკოლელების სახელით. მადლობა, რომ ასე ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „წარმატებას ვუსურვებ, როგორც პირველ საჯარო, ისე ყველა საჯარო სკოლას, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის განვითარებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეთერთმეტე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივნის, **გენადი კუჭუხიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის" სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის" სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ" **განკარგულება №63** ოქმს თან ერთვის)

ამის შემდეგ, **განცხადება** გააკეთა მოქალაქე **ბესიკ ადამიამ:** „მოგესალმებით, დღეს ისტორიული თარიღია, საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადების 1700 წლისთავი. ვულოცავ, პირველ საჯარო სკოლას ისტორიული სტატუსის - კლასიკური გიმნაზიის სახელის დაბრუნებას. მე აქ წარმოდგენილი მაქვს ბანერი. ბატონო გიორგი, თქვენი მერობის პერიოდში დაიდგა ქალაქში „მშვიდობის ბურთის" მონუმენტი და ამისათვის მინდა მადლობა მოგიხადოთ. „მშვიდობის ბურთის" მონუმენტი საჭიროებს კოსმეტიკურ აღდგენას. 2 მაისს კარგი იქნება თუ იქ მოვიწვევთ საქართველოს პრემიერ - მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ დავით ერემეიშვილს, მისი მხარდაჭერით „მშვიდობის ბურთის" მონუმენტის უკან, სამკუთხა კუნძულზე, საქართველოსა და ქუთაისის დროშები აღიმართა, ბუჩქები დაირგო და ღამის განათებები დამონტაჟდა, რამაც რამაზ შენგელიას სახელობის ტორპედოს სტადიონის უბანი უფრო ლამაზი გახადა. ჩემი ბანერის ნაწილში წარმოდგენილია ხმლის მონუმენტი, რომელიც ბალახვნის ცენტრში უნდა დაიდგას. მინდა გითხრათ, რომ დადგმის საკითხი შეჩერდა. დამსწრე საზოგადოებას მხარდაჭერას გთხოვთ. საკითხი 2024 წელს, წინა მოწვევის საკრებულოს სხდომასა და შემდეგ ქალაქის პატივგების კომისიაზე დადებითად შეფასდა, თუმცა, სამწუხაროდ, კულტურის სამინისტროში შეყოვნდა. ბანერის ქვემოთ მესამე სურათია, რაც ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ახალგაზრდობის პარკის წინ, გაჩერების მარჯვნივ, მწვანე მდელოზე, ეკოლოგიის მხარდამჭერი ნიშნის – ჟანგბადის ფორმულა „O–2 ში" ჩასმული „მწვანე ფოთლის" მონუმენტის დადგმის იდეას ეხება. გთხოვთ, მხარდაჭერას ამ იდეის განხორციელებაში. აქვე, მეორე ბანერსაც წარმოგიდგენთ. ეს ფოტოშოპით თანამედროვე ელმავლების დამონტაჟებას ეხება, რაც არა შენობის, არამედ, ჩამომდგარი მატარებლის იმიტაციას შექმნის. იდეამ სოციალურ ქსელში მოწონება დაიმსახურა. აქვე, ბანერის მეორე ხაზზე, წარმოგიდგენთ ჩემი ძმისშვილის, ნინო ადამიას მიერ იტალიიდან გამოგზავნილ, საქპატენტში რეგისტრირებულ იდეას, მწვანე გულის ფორმაში ჩასმული თეთრი და წითელი გულების, ხოლო მეორე ვარიანტში, მწვანე გულის ფორმაში ჩასმული საქართველოს დროშის შესახებ. გთავაზობთ, მათ რეალიზებას მერიის შენობის წინ

ბაღში ან ახალგაზრდობის პარკში. მათი შესრულება შეიძლება, როგორც ყვავილებით, ასევე შიდა განათებით, ფერადი ორგანული მინის მასალების გამოყენებით. ქალაქის ცენტრში, ამჟამინდელი „მაკდონალდსის“ ადგილზე, დიდ ფორმატში საათი იდგა, რომელიც მოქალაქეთა, ახალგაზრდების შეხვედრის ადგილად მოიაზრებოდა. ამ გულების მონუმენტის მერიის წინ ბაღში დადგმით, ახალგაზრდების, შეყვარებულთა შეხვედრის ახალ ადგილს ჩაეყრება საფუძველი. ბანერის მესამე ხაზზე, თეთრი ხიდის მიმდებარედ, საბაგიროს მხარეს, რიონისპირა ისტორიულ კედელ–გალავანზე, ადრე ციხე–სიმაგრეების მსგავსად მცირე გუმბათები იდგა და შეიძლება მათი აღდგენა-დაშენება. ბანერის იმავე ხაზზე, სოლომონ მეფის სურათია წარმოდგენილი, რომელმაც ქუთაისთან ახლოს, სოფელ ხრესილში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. სოლომონ მეფის ბიუსტს, ქანდაკებას ქუთაისი იმსახურებს და მის განსათავსებლად საბაგიროს ოფისის მიმდებარე ტერიტორიას გთავაზობთ. რუსთაველის ხიდის მარჯვნივ, გალაკტიონ ტაბიძის მონუმენტის მოპირდაპირედ, რიონის პირას ფერდობზე „არგონავტების ნავის“ დადგმის იდეაც მაქვს, რადგან მითი არგონავტების შესახებ, ქუთაისს დიდ ისტორიულ შეფასებას აძლევს. ამ სურათის მარცხნივ, რუსთაველის ხიდის შემდეგ, ტაბიძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთის ადგილზე, ავტომობილების საცობი წარმოიქმნება ხშირად. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, ქალაქში საცობების გამო, რიგ ადგილებში ე.წ. „ბასლაინების“ მოწყობა და ამ შემთხვევაში, წარმოდგენილ ადგილზე, რუსთაველის გამზირისა და ტაბიძის ქუჩის კვეთაზე, რუსთაველის გზის ქვემოთ - გვირაბის გაკეთება, რითაც ტაბიძის ქუჩიდან გორაზე მიმავალი ავტომობილები ადვილად იმოძრავებენ, ხოლო მარჯვენა ნაკადი - რუსთაველის ხიდის, ქალაქის ცენტრისაკენ. მინდა, სიტყვის წარმოთქმის უფლებისათვის, მადლობა გადაგიხადოთ და საკრებულოს წარმატებები გისურვოთ. ვიმედოვნებ, ჩემი რომელიმე იდეა, თუნდაც „ბალახვნის ხმალი“ და სხვა, მხარდაჭერილი და რეალიზებული იქნება და ქუთაისის ისტორიას საამაყო დანატოვარი ექნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მადლობთ ბატონო ბესო. ძალიან კარგია, რომ ასეთი აქტიური მოქალაქე ბრძანდებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეექვსე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგითი მეექვსე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეექვსე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.